

**შპს “საქართველოს უნივერსიტეტი”
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2017 წელი**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	9
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10



**BAKER TILLY
GEORGIA LTD**

7, Bambis Rigi

Tbilisi 0105, Georgia

Tel/Fax: (+995 32) 243 8999

E-mail: office@bakertillygeorgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქართველოს უნივერსიტეტის დამფუძნებლებს:

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში, „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების (გვ. 6-29) აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრისათვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშს (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. სავარაუდოდ, მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ მოცემულ პარაგრაფში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. როდესაც გავცნობით საქმიანობის მიმოხილვასა და კორპორაციულ მართვის ანგარიშგებას, თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მასში, გვევალება, ამ საკითხის შესახებ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება.





**BAKER TILLY
GEORGIA LTD**

7, Bambis Rigi

Tbilisi 0105, Georgia

Tel/Fax: (+995 32) 243 8999

E-mail: office@bakertillygeorgia.ge

სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონმდებლობით, ჯგუფის ვალდებული იყო, ჩვენთვის წარედგინა მმართველობითი ანგარიში (საქმიანობის მიმოხილვა). ჩვენი პასუხისმგებლობაა, კანონმდებლობის მიხედვით, გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობითი ანგარიშის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისობაზე და ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედრაზე. ვინაიდან, ჩვენთვის არ არის წარდგენილი მმართველობითი ანგარიში, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას მათ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე და ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედრაზე.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.





**BAKER TILLY
GEORGIA LTD**

7, Bambis Rigi

Tbilisi 0105, Georgia

Tel/Fax: (+995 32) 243 8999

E-mail: office@bakertillygeorgia.ge

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი.

ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)

პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

20 სექტემბერი, 2018 წელი

თბილისი, საქართველო




შპს საქართველოს უნივერსიტეტი
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


	31 დეკემბერი	
	2017	2016
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3)	23,869	24,383
ინვესტიცია	167	165
არამატერიალური აქტივები (შენიშვნა 4)	170	171
საინვესტიციო ქონება (შენიშვნა 5)	1,812	1,536
სულ გრძელვადიანი აქტივები	26,018	26,255
მოკლევადიანი აქტივები		
მისაღები სესხები	880	723
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 6)	4,532	3,050
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (შენიშვნა 7)	486	461
წინასწარ გადახდილი გადასახადები	198	55
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 8)	4,176	4,485
სულ მოკლევადიანი აქტივები	10,272	8,774
სულ აქტივები	36,290	35,029
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2	2
გაუნაწილებელი მოგება	16,120	13,404
სულ საკუთარი კაპიტალი	16,122	13,406
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ნასესხები საშუალებები (შენიშვნა 9)	6,895	9,747
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	6,895	9,747
მოკლევადიანი ვალდებულებები		
გადავადებული შემოსავალი (სტუდენტების მიერ წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური)	9,824	8,447
მიმდინარე ნასესხები საშუალებები (შენიშვნა 9)	2,692	2,580
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 10)	755	849
გადასახდელი გადასახადები	2	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	13,273	11,876
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	36,290	35,029

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა:

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია



პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი,
ბ-ნ კონსტანტინე თოფურია



2018 წლის 20 სექტემბერი


შპს საქართველოს უნივერსიტეტი
 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება


	31 დეკემბერი	
	2017	2016
სწავლების საფასური	20,455	16,514
შრომის ანაზღაურება	(9,314)	(7,981)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,723)	(1,593)
სარემონტო და კომუნალური დანახარჯები (შენიშვნა 11)	(2,903)	(2,097)
მარკეტინგული დანახარჯები	(1,596)	(950)
სხვა საოპერაციო დანახარჯები (შენიშვნა 12)	(1,059)	(1,333)
საოპერაციო მოგება	3,860	2,560
წმინდა ფინანსური ხარჯები (შენიშვნა 13)	(981)	(1,915)
მოგება დაბეგვრამდე	2,879	645
მოგების გადასახადის ხარჯი	(163)	231
მიმდინარე წლის მოგება	2,716	876

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა:

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია



პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი,
 ბ-ნ კონსტანტინე ბოფურია



2018 წლის 20 სექტემბერი


შპს საქართველოს უნივერსიტეტი
 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება


	31 დეკემბერი	
	2017	2016
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	20,945	17,185
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	(16,634)	(14,903)
მომწოდებლებისათვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	4,312	2,282
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა		
მიღებული დივიდენდი	29	59
მიღებული პროცენტი	103	115
გადახდილი პროცენტი	(736)	(969)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	3,708	1,487
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
სესხის გაცემა	(132)	(35)
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	(2)	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(814)	(689)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(948)	(724)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან (შენიშვნა 18)		
სესხის სახით მიღებული თანხები	1,355	2,289
სესხის დაფარვა	(4,258)	(2,580)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	(2,903)	(291)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	(143)	472
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	4,485	3,614
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად	(166)	399
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	4,176	4,485

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა :

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია



პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი,
 ბ-ნ კონსტანტინე თოფურიძე




2018 წლის 20 სექტემბერი

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
 კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	2	12,528	12,530
2016 წლის სრული შემოსავალი	-	876	876
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	2	13,404	13,406
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	2	13,404	13,406
2017 წლის სრული შემოსავალი	-	2,716	2,716
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	2	16,120	16,122

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა:

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია



პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი,
 ბ-ნ კონსტანტინე თოფურია



2018 წლის 20 სექტემბერი

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი	
	2017	2016
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3)	23,869	24,383
ინვესტიცია	167	165
არამატერიალური აქტივები (შენიშვნა 4)	170	171
საინვესტიციო ქონება (შენიშვნა 5)	1,812	1,536
სულ გრძელვადიანი აქტივები	26,018	26,255
მოკლევადიანი აქტივები		
მისაღები სესხები	880	723
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 6)	4,532	3,050
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (შენიშვნა 7)	486	461
წინასწარ გადახდილი გადასახადები	198	55
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 8)	4,176	4,485
სულ მოკლევადიანი აქტივები	10,272	8,774
სულ აქტივები	36,290	35,029
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2	2
გაუნაწილებელი მოგება	16,120	13,404
სულ საკუთარი კაპიტალი	16,122	13,406
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ნასესხები საშუალებები (შენიშვნა 9)	6,895	9,747
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	6,895	9,747
მოკლევადიანი ვალდებულებები		
გადავადებული შემოსავალი (სტუდენტების მიერ წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური)	9,824	8,447
მიმდინარე ნასესხები საშუალებები (შენიშვნა 9)	2,692	2,580
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 10)	755	849
გადასახდელი გადასახადები	2	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	13,273	11,876
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	36,290	35,029

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა :

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი,
ბ-ნ კონსტანტინე თოფური

2018 წლის 20 სექტემბერი

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31 დეკემბერი	
	2017	2016
სწავლების საფასური	20,455	16,514
შრომის ანაზღაურება	(9,314)	(7,981)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,723)	(1,593)
სარემონტო და კომუნალური დანახარჯები (შენიშვნა 11)	(2,903)	(2,097)
მარკეტინგული დანახარჯები	(1,596)	(950)
სხვა საოპერაციო დანახარჯები (შენიშვნა 12)	(1,059)	(1,333)
საოპერაციო მოგება	3,860	2,560
წმინდა ფინანსური ხარჯები (შენიშვნა 13)	(981)	(1,915)
მოგება დაბეგვრამდე	2,879	645
მოგების გადასახადის ხარჯი	(163)	231
მიმდინარე წლის მოგება	2,716	876

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა :

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი,
 ბ-ნ კონსტანტინე თოფურიძე

2018 წლის 20 სექტემბერი

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი	
	2017	2016
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	20,945	17,185
მომწოდებლებისათვის და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(16,634)	(14,903)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	4,312	2,282
მიღებული დივიდენდი	29	59
მიღებული პროცენტი	103	115
გადახდილი პროცენტი	(736)	(969)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	3,708	1,487
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
სესხის გაცემა	(132)	(35)
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	(2)	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(814)	(689)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(948)	(724)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან (შენიშვნა 18)		
სესხის სახით მიღებული თანხები	1,355	2,289
სესხის დაფარვა	(4,258)	(2,580)
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	(2,903)	(291)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	(143)	472
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	4,485	3,614
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად	(166)	399
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	4,176	4,485

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა:

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი,
 ბ-ნ კონსტანტინე თოფურია

2018 წლის 20 სექტემბერი

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	2	12,528	12,530
2016 წლის სრული შემოსავალი	-	876	876
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	2	13,404	13,406
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	2	13,404	13,406
2017 წლის სრული შემოსავალი	-	2,716	2,716
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	2	16,120	16,122

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა :

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი,
ბ-ნ კონსტანტინე თოფურიცა

2018 წლის 20 სექტემბერი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს საქართველოს უნივერსიტეტი ფიზიკური პირების მიერ კერძოდ ფლობილი კომპანიაა, რომელსაც გააჩნია უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტად აკრედიტაცია.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, მერაბ კოსტავას 77ა. შპს საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში „ჯგუფი“) ყველა შვილობილი კომპანია (ერთობლივად - „ჯგუფი“) რეგისტრირებულია და მდებარეობს ამავე მისამართზე.

ჯგუფის მკონტროლებელი და ბენეფიციარები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

- ქ-ნ გიული ალასანია - 37,5 პროცენტი
- ქ-ნ მანანა სანაძე - 50 პროცენტი
- ბ-ნ ნიკოლოზ ალასანია - 12,5 პროცენტი

შენიშვნა 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების* (ფასს-ები) შესაბამისად ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 კონსოლიდაცია

(ა) შვილობილი კომპანიები

შვილობილი არის ყველა კომპანია რომელზეც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება რომ მართოს კომპანიის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა (ან რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა), და ფლობს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 50%-ზე მეტს. შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების დღიდან.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა შემდგომ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	ფლობის წილი	ქვეყანა
შპს ხადილი	100 %	საქართველო
შპს საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლა	100 %	საქართველო
შპს საქართველოს უნივერსიტეტის სპორტული სკოლა	100 %	საქართველო
შპს საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო ავეჯი	100 %	საქართველო
შპს იუჯი წიგნები	100 %	საქართველო
შპს საქართველოს უნივერსიტეტის მუსიკალური აკადემია	100 %	საქართველო

სრულად ელიმინირებულია ყველა შიდა ჯგუფური ტრანზაქცია, ბალანსები და ჯგუფის შიგნით ტრანზაქციიდან მიღებული არარეალიზებული მოგება, ასევე ელიმინირებულია არარეალიზებული ზარალი იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქცია არ მოიცავს მტკიცებულებას რომ გადაცემული აქტივი გაუფასურებულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების საბუღალტრო პოლიტიკა შეიცვალა ჯგუფის მიერ მიღებული პოლიტიკის შესაბამისად.

ბ) ერთობლივად კონტროლირებადი კომპანიები

ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო არის ისეთი საწარმო რომელთა დამფუძნებლებს შორის არსებობს კონტრაქტუალური გარიგება საწარმოს ერთობლივ მართვაზე. ერთობლივად მართული კომპანიები აღირიცხება კაპიტალ მეთოდით.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კაპიტალ მეთოდის მიხედვით თავდაპირველი ინვესტიცია აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ინვესტიციის ღირებულება იცვლება შესყიდვის შემდეგ საწარმოს მოგებასა და მთლიან მოგებაში წილის აღიარების საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ ზარალის წილი აჭარბებს ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას ჯგუფი არ აღიარებს დამატებით ზარალს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არსებობს ამის იურიდიული ვალდებულება. იმ შემთხვევაში როდესაც მიღებული დივიდენდი აჭარბებს ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას ინვესტიცია განუღდება და ნარჩენი თანხა აღიარდება პერიოდის მოგება ზარალის ანგარიშგებაში. შიდა ჯგუფური ოპერაციების არარეალიზირებული მოგება ზარალი ელიმინირდება ჯგუფის წილის პროპორციულად. არარეალიზებული ზარალი ასევე ელიმინირდება და თუ არ არსებობს გაუფასურების ინდიკაცია. ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილია ჯგუფის პოლიტიკასთან თანხვედრის მიზნით.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი ფლობს შპს იუჯი-ლემონდუს ტრეინინგ ცენტრის 50 პროცენტთან წილს. ერთობლივად მართული საწარმო დაარსდა 2015 წელს და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტრეინინგების ჩატარება. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისი მთლიანი აქტივების ღირებულება შეადგენდა 26 828 ლარს, ხოლო პერიოდის ზარალი - 15 880 ლარს.

ამას გარდა, საქართველოს უნივერსიტეტი წარმოადგენს შპს იუჯი პროგრესის და შპს იუჯი ლიმესის ერთობლივად მართული საწარმოების 50 პროცენტთან მფლობელს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს იუჯი ლიმესის მთლიანი აქტივების ღირებულება შეადგენდა 223 269 ლარს, ხოლო პერიოდის მოგება - 111 868 ლარს.

გ) მეკავშირე კომპანიები

მეკავშირედ ითვლება ისეთი საწარმოები რომლებზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი ზემოქმედება მაგრამ არა კონტროლი, რომელსაც ზოგადად თან ახლავს ხმის უფლების მქონე წილის 20 -50 პროცენტამდე მფლობელობა. ინვესტიცია მეკავშირე კომპანიებში ასახულია კაპიტალ მეთოდით.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი ფლობს არაკონტროლირებად წილს (14 პროცენტი) ქართულ ამერიკულ უნივერსიტეტში, რომელიც ასევე წარმოადგენს საგანმანათლებლო ინსტიტუტს.

ჯგუფი ყოველ წელს აფასებს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცება ინვესტიციის გაუფასურებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში ამოღებადი ღირებულებასა და მიმდინარე ღირებულებას

2.3 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება

(ა) სამუშაო და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის თითოეული ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც მოცემული ერთეული ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

2017 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთები: 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი და 1 ევრო = 3.1044 (2016 წელი: 1 აშშ დოლარი = 2.6468 ლარი და 1 ევრო = 2.794 ლარი).

(ბ) ოპერაციები და ნაშთები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

2.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება დაგროვილი ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალებების ჯგუფი როდესაც შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სასარგებლო მომსახურების ვადა	
შენობა-ნაგებობანი	30
ავეჯი და აღჭურვილობა	5-10
ბიბლიოთეკა	10
ავტომობილები	5

2.5 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარდგენილია დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული ისტორიული ღირებულებით.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 10 წლის გაანგარიშებით.

2.6 მარაგები

მარაგები წარდგენილია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებებს შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.7 სავაჭრო დებიტორები

სავაჭრო დებიტორები შედგება მისაღები მოსაკრებლებისა და წინასწარი გადახდებისგან. სავაჭრო მოთხოვნებს წარმოადგენს სტუდენტების გადასახდელი მოსაკრებლები და მოთხოვნები ჯგუფის კონტრაქტორი ორგანიზაციების მიმართ.

სავაჭრო დებიტორები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

2.8 ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.9 დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლელი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოვლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქტიის, ან მომსახურების მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღგ ზოგადად ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ს მიმართ, დღგ-ს ანგარიშგაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ-ს აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2.10 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფში შემავალ კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.11 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი ვადის განმავლობაში მოგება-ზარალის პერიოდში.

2.12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.13 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება გადახდის პირობები. ჯგუფი წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.

სპეციფიკური აღიარების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

საპროცენტო შემოსავლები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე

2.14 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ ჯგუფის დაქირავებული მომუშავეები. ჯგუფში შემავალ კომპანიებს არ გააჩნიათ იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელონ საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.15 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.16 დაბეგვრა

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან, უშუალოდ, საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან, უშუალოდ, საკუთარ კაპიტალში.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს ჯგუფი იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. ჯგუფის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ქართული გადასახადის გადამხდელის უმრავლესობა, მათ შორის ჯგუფიც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა ანუღირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

2.17 ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, მათი კლასიფიკაციის მიხედვით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

რეალური ღირებულება გახლავთ თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს აქ-მის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისათვის და მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზარზე. ურთიერთგადამფარავი საბაზრო რისკების მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისთვის ჯგუფმა შეიძლება საშუალო საბაზრო ფასები გამოიყენოს ურთიერთგადამფარავი რისკის პოზიციების რეალური ღირებულების დადგენისათვის და შეთავაზებული ფასი ან მოთხოვნილი ფასი გამოიყენოს ღია პოზიციების შესაფერისად დაბალანსებისათვის. ფინანსური ინსტრუმენტი აქ-ტიურ ბაზარზე კოტირებულად განიხილება, თუ კოტირებული ფასები იოლად და რეგულარულად მიღებადია ბირ-ჟიდან ან სხვა დაწესებულებიდან და აღნიშნული ფასები ასახავს აქტიურ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს საფონდო ბირჟაზე „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადის მოდელები ან მოდელები გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით დადებული ბოლოდროინდელი გარიგებების, ან ინვესტიციის მიმდების ფინანსური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთათვისაც გარე საბაზრო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების მეთოდებით შეიძლება მოითხოვოდეს ისეთი დაშვებების გაკეთება, რომლებიც არ არის გამყარებული დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნები თუ მსგავსი დაშვებების გონივრულად შესაძლებელი ალტერნატივით შეცვლის შედეგად მიიღება მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები ან მთლიანი ვალდებულებები.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გარიგების დანახარჯები არის ნამეტი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს. ნამეტი დანახარჯები არის დანახარჯები, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ არ განხორციელდებოდა გარიგება. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (გაყიდვის აგენტებად მოქმედ დაქირავებულ მომუშავეთა ჩათვლით), მრჩეველების, ბროკერებისა და დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებიდან და საფონდო ბირჟებიდან მოსაკრებლებსა და სატრანსფერო ბაჟსა თუ სავალდებულო მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდათმობებს, ფინანსურ დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ თუ მფლობელთა დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის გადახდით, მიმატებული დარიცხული პროცენტის თანხა და ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, შემცირებული მიღებული გაუფასურების ზარალის ჩამოწერით. დარიცხული პროცენტის თანხა მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და პრემიას ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტის დისკონტირებული ღირებულება. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, როგორც დარიცხული კუპონის, ისე ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს), ცალ-ცალკე კი არ აისახება, არამედ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი, ისე რომ მიღებულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, თუ შესაფერისია, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის გადაფასების შემდეგ თარიღამდე, გარდა პრემიის ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთის შეღავათის დიაპაზონს ან სხვა ცვლადებს, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო განაკვეთზე. მსგავსი პრემია ან დისკონტი ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. ახლანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს მხარეების მიერ ყველა საკონტრაქტო გადახდილ ან მიღებულ საზღაურს, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

2.18 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

ჯგუფის ფინანსურ აქტივები იყოფა სესხების და მოთხოვნების შეფასების კატეგორიებად. სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნია ფიქსირებული, ან განსაზღვრადი გადასახდელები გარდა იმისა, რომლებიც არ არის კვტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი აისახება მოკლევადიან აქტივებში, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელთა დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს საანგარიშგებო თარიღის შემდგომ. ამ უკანასკნელის კლასიფიკაცია ხდება გრძელვადიან აქტივებად.

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც 'სხვა ფინანსური ვალდებულებები' და მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

2.19 ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პლუს გარიგების დანახარჯებით. გარიგების ფასი არის თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება. თავდაპირველი აღიარების დროს მიღებული შემოსულობის ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, თუ არსებობს განსხვავება რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, რომლის დასაბუთებაც შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებად საბაზრო გარიგებებით, ან შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას გულისხმობს.

ყველა ფინანსური აქტივის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდება მოითხოვება მარეგულირებელი წესებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (ყიდვა-გაყიდვის 'ჩვეულებრივი გზა') დადგენილ ვადებში, აისახება გარიგების დადების თარიღით, რომელიც არის ის თარიღი, როდესაც ჯგუფი ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას იღებს. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მონაწილე.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2.20 ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტას ახორციელებს მაშინ, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია, ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვა მხრივ ამოიწურა, ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან გააფორმა კვალიფიცირებადი "გავლითი შეთანხმება", ხოლო ამავე დროს (ი) ასევე გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, ან (იი) არ გადასცა აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი, მაგრამ არ ინარჩუნებს კონტროლს. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარეს არ გააჩნია დაუკავშირებელი, მესამე მხარისათვის ერთიანი აქტივის მიყიდვის პრაქტიკული უნარი გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

2.21 ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი მოხდენისთანავე ერთი ან უფრო მეტი მოვლენის შედეგად ("ზარალის განმაპირობელი მოვლენები"), რომელთაც ადგილი ჰქონდათ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოცემული ფინანსური აქტივიდან, ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან, რომელთა საიმედო შეფასებაც შესაძლებელია, მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების შეფასების ოდენობაზე, ან პერიოდულობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ადგილი ჰქონდა ინდივიდუალურად შეფასებული აქტივის გაუფასურებას, მიუხედავად მნიშვნელოვანი, ან უმნიშვნელო გაუფასურებისა, ჯგუფი ამ აქტივს მიაკუთვნებს ანალოგიური საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და ერთობლივად შეაფასებს მათ გაუფასურებას. ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას ძირითადი ფაქტორები, რომელსაც გაითვალისწინებს ჯგუფი, არის ფინანსური აქტივის ვადაგადაცილებულობის სტატუსი.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით ასახული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები მოლაპარაკების შედეგად შეიცვალა, ან სხვა მხრივ მოხდა მოდიფიცირება კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურების შეფასება ხდება პირობების მოდიფიკაციამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება დაყვანილ იქნეს მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებამდე. იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების თანხის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენასთან (მაგალითად, როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება ხდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მეშვეობით.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის ანარიცხებში მას შემდეგ, როდესაც დასრულდება აქტივის ამოსაღებად ყველა საჭირო პროცედურის განხორციელება დასრულდება და განისაზღვრება ზარალის ოდენობა.

2.22 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

ჯგუფი ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება ჯგუფის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება ჯგუფის მიერ. გათვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. ჯგუფმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2.23 საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში

ცვლილებები ბასს 12-ში, მოგების გადასახადი

IASB-მა გამოუშვა დოკუმენტი გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება არარეალიზებული ზარალისათვის, რომლითაც მცირე მასშტაბის ცვლილებები შევიდა ბასს 12-ში, „მოგების გადასახადი“. ამ განახლების მიზანია განსაზღვროს თუ როგორ აღირიცხოს გადავადებული მოგების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრულ სასესხო ინსტრუმენტებთან. ნაწილობრივ, სადაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შემცირება იწვევს ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შემცირებას.

ცვლილებები აზუსტებენ შემდეგ ასპექტებს:

- არარეალიზებული ზარალი სასესხო ინსტრუმენტებზე, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო საგადასახადო მიზნებისთვის აისახება თვითღირებულებით, წარმოშობს გამოქვითვად დროებით სხვაობას, მიუხედავად იმისა, ამ ინსტრუმენტის მფლობელი მის გაყიდვას აპირებს თუ გამოყენებას;
- აქტივის საბალანსო ღირებულება არ გვზღუდავს სავარაუდო მოგების გადასახადის განსაზღვრებაში;
- განსაზღვრული მომავალი დასაბეგრი მოგება არ შეიცავს იმ საგადასახადო გამოქვითვებს, რომლებიც წარმოქმნილია გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნებით.
- ჯგუფმა უნდა განსაზღვროს საგადასახადო კოდექსის შეზღუდვები დასაბეგრი მოგების იმ წყაროზე, რომელსაც შეუძლიათ შეამცირონ გამოსაქვითი დროებითი სხვაობების შებრუნება. თუ საგადასახადო არ შემოღებს ამგვარ შეზღუდვას, მაშინ ჯგუფს შეეძლება ეს დროებითი გამოქვითვადი სხვაობა შეაფასოს სხვა დროებით გამოსაქვითი სხვაობებთან ერთად.

ცვლილებები ეფექტური იქნება 2017 წლის 1 იანვრიდან და მათი გამოყენება მოითხოვება რეტროსპექტულად. ხელმძღვანელობა ამ ცვლილებებისგან არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე 2017 წლიდან ფინანსურ ანგარიშგებაში გადავადებული გადასახადების აღიარება აღარ მოხდება, რადგან აღარ იარსებებს ის ფაქტორები რაც გადავადებულ გადასახადებს წარმოშობდა.

ბასს (IAS) 7 ინფორმაციის გახსნის ინიციატივა – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში

ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ ცვლილებები შევიდა „ინფორმაციის გახსნის ინიციატივის“ ფარგლებში და საწარმოებს ავალდებულებს ისეთი ინფორმაციის წარმოდგენას, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები, ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებებისა და არაფულადი ცვლილებების ჩათვლით. ცვლილების თავდაპირველად განხორციელებისას, საწარმოებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდებთან შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

2.24 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

ფასს (IFRS) 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"

2014 წლის ივლისში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოსცა ფასს 9-ის "ფინანსური ინსტრუმენტები" ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლეს ბასს 39-ს "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 მოქმედებს წლიური პერიოდებისათვის, რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გამოყენება, მაგრამ შესაძარსი ინფორმაცია სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები ზოგადად პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული ლიმიტირებული გამონაკლისებით.

ფასს (IFRS) 15 "შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან"

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც. „ჯგუფი“ აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის თარიღისთვის სრული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით.

ფასს (IFRS) 16 იჯარა

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთ საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად.

სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით).

საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მოიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მოიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიწვევს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევ გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ცვლილებები ფასს 2-ში წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების კლასიფიკაცია და გაზომვა

ცვლილებები სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან. მათი მიზანია სტანდარტში არსებული ზოგიერთი პრინციპისა და სააღრიცხვო მიდგომის განმარტება.

გაუმჯობესებათა 2014-2016 წლების ციკლი

აღნიშნული ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან:

- ფასს 1 - არსებული მოკლევადიანი შეღავათები ფასს 7, ბასს 19 და ფასს 10-ის გარდამავალი მუხლებისათვის გაუქმებულია (არა-აქტუალობის გამო);
- ბასს 28 - განმარტებულია, რომ ერთობლივმა საწარმოებმა, ფონდებმა და მსგავსმა ორგანიზაციებმა მეკავშირეებსა და ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების სამართლიანი ღირებულებით ასახვის არჩევანი

უნდა განახორციელონ ინდივიდუალურად თითოეული ორგანიზაციისათვის თავდაპირველი აღიარებისას.

ცვლილებები ბასს 40-ში

ცვლილებები განმარტავენ, რომ საინვესტიციო ქონებაში აქტივის შეტანა ან გატანა შესაძლებელია მხოლოდ ამ აქტივის გამოყენების დადასტურებული ცვლილებების შემთხვევაში. გამოყენების ცვლილებას ადგილი აქვს, როდესაც აქტივი აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას. ხელმძღვანელობის განზრახვა, აქტივის გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის საკმარისი მტკიცებულება აქტივის კლასიფიკაციის მიზნებისათვის. ცვლილებები ძალაში შევა 2018 წლის 1 იანვრიდან და მათი დანერგვა, გარკვეული დაშვებებით, შესაზღვრელია როგორც პერსპექტიულად ისე რეტროსპექტიულად.

ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში

ცვლილებები ეხება აქტივის მიწოდების ან შეტანის აღრიცხვას ინვესტორსა და მის მეკავშირეს ან ერთობლივ საწარმოს შორის. ცვლილება სპეციფიკურად განიხილავს ოპერაციის შედეგად მიღებული მოგება ზარალის აღრიცხვას. საბჭოს მიერ არ არის დადგენილი ცვლილების ეფექტურობის თარიღი თუმცა დაშვებულია ამ ცვლილებების ადრეული გამოყენება. ჯგუფის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	საოფისე მოწყობი ლობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ბიბლიოთეკა	სულ
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს					
ისტორიული ღირებულება	24,997	4,440	297	409	30,143
დაგროვილი ცვეთა	(3,219)	(2,453)	(91)	(247)	(6,010)
საბალანსო ღირებულება	21,778	1,987	206	162	24,133
2016 წლის ცვლილება					
შეძენა	1,058	504	126	70	1,758
ცვეთა	(706)	(696)	(54)	(52)	(1,508)
საბალანსო ღირებულება	22,130	1,795	278	180	24,383
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს					
ისტორიული ღირებულება	26,055	4,944	423	479	31,901
დაგროვილი ცვეთა	(3,925)	(3,149)	(145)	(299)	(7,518)
საბალანსო ღირებულება	22,130	1,795	278	180	24,383
2017 წლის ცვლილება					
შეძენა	190	849	68	34	1,141
გასვლა	-	(12)	(15)	-	(27)
ცვეთა	(828)	(668)	(75)	(57)	(1,628)
საბალანსო ღირებულება	21,492	1,963	256	158	23,869
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს					
ისტორიული ღირებულება	26,245	5,781	475	513	33,015
დაგროვილი ცვეთა	(4,753)	(3,817)	(220)	(356)	(9,146)
საბალანსო ღირებულება	21,492	1,963	256	158	23,869

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ძირითადი საშუალებები დატვირთულია Overseas Private Investment Corporation-ის სესხის უზრუნველსაყოფად.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 4. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები და პროგრამები
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	
ისტორიული ღირებულება	353
დაგროვილი ამორტიზაცია	(179)
საბალანსო ღირებულება	174
2016 წლის ცვლილება	
შეძენა	60
გასვლა	(3)
ამორტიზაციის ხარჯი	(60)
საბალანსო ღირებულება	171
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	
ისტორიული ღირებულება	405
დაგროვილი ამორტიზაცია	(234)
საბალანსო ღირებულება	171
2017 წლის ცვლილება	
შეძენა	56
ამორტიზაციის ხარჯი	(57)
საბალანსო ღირებულება	170
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	
ისტორიული ღირებულება	461
დაგროვილი ამორტიზაცია	(291)
საბალანსო ღირებულება	170

შენიშვნა 5. საინვესტიციო ქონება

ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	-
შეძენა	1,536
ცვეთა	-
საბალანსო ღირებულება	1,536
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	
ისტორიული ღირებულება	1,536
დაგროვილი ცვეთა	-
საბალანსო ღირებულება	1,536
2017 წლის შეძენა	
შეძენა	312
ცვეთა	(36)
საბალანსო ღირებულება	1,812
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	
ისტორიული ღირებულება	1,848
დაგროვილი ცვეთა	(36)
საბალანსო ღირებულება	1,812

2017 წელს საინვესტიციო ქონების გაქირავებიდან შემოსავლის მიღება არ მომხდარა.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
სავაჭრო დებიტორული დავალიანება-მისაღები მოსაკრებელი	2,627	1,737
სხვა სავაჭრო დებიტორული დავალიანება	922	647
გადახდილი ავანსები	883	315
სხვა დებიტორული დავალიანება	76	114
სხვა ავანსები გადახდილი ძირითადი საშუალებების შესაძენად	24	237
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4,532	3,050

შენიშვნა 7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
გასაყიდი წიგნები	307	335
მასალები	92	78
სხვა ინვენტარი	87	48
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	486	461

შენიშვნა 8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
ნაღდი ფული სალაროში	63	21
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	2,202	1,702
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	1,911	2,762
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4,176	4,485

შენიშვნა 9. ნასესხები საშუალებები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
გრძელვადიანი ნასესხები საშუალებები:		
საბანკო სესხები	2,096	2,457
Overseas Private Investment Corporation (OPIC)	4,799	7,290
მოკლევადიანი ნასესხები საშუალებები:		
საბანკო სესხები	206	33
Overseas Private Investment Corporation (OPIC)	2,486	2,547
სულ ნასესხები საშუალებები	9,587	12,327

2011 წლის 9 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 2012 წლის 31 დეკემბერს შპს საქართველოს უნივერსიტეტმა მიიღო Overseas Private Investment Corporation (OPIC)-სგან სესხი 8.05 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. სესხის მიღება მოხდა ოთხ ტრანშად 7,03 წლიური საპროცენტო განაკვეთით.

სესხის გადასახდელები დაყოფილია 34 თანაბარ ნაწილად. სესხის დასრულების თარიღს წარმოადგენს 2020 წლის 15 დეკემბერი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ფლობილი ყველა მიწა და შენობა-ნაგებობა წარმოადგენს სესხის უზრუნველყოფას. ამასობაზე, კომპანია ვალდებულია სს ქართუ ბანკის სადეპოზიტო ანგარიშზე იქონიოს ხელუხლებელი ფულადი რეზერვი.

სასესხო ხელშეკრულების თანხამად, შპს საქართველოს უნივერსიტეტს უფლება არ აქვს აიღოს სხვა რაიმე სახის სასესხო ვალდებულება, გარდა მოკლევადიანი სესხისა (300 ათასი აშშ დოლარის ლიმიტით). მიუხედავად ამისა, როგორც ნაჩვენებია შემდგომში, 2016 წელს შპს საქართველოს უნივერსიტეტი, ერთობლივად მის შვილობილ კომპანიებთან, გახდა ერთერთი შვილობილის მიერ სს ბაზის ბანკში აღებული სასესხო ვალდებულების თავდები. აღნიშნული ქმედება წინააღმდეგობაში მოდის Overseas Private Investment Corporation (OPIC)-თან დადებულ ხელშეკრულების პირობებთან. თუმცა კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნულს არ შეიძლება ჰქონდეს ფინანსური ხასიათის შედეგი, რადგან შვილობილი კომპანიის მიერ სს ბაზის ბანკში აღებული სესხი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, რის შესაძენადაც იქნა სესხი გამოყოფილი. ხოლო ამ უძრავი ქონების მიმდინარე და საბოლოო საბაზრო ღირებულება აღემატება ყველა იმ ფინანსურ ვალდებულებას, რაც შეიძლება წარმოიქმნას სასესხო ხელშეკრულებით.

2016 წლის 30 სექტემბერს ჯგუფის შვილობილი კომპანიის შპს იუჯი წიგნების მიერ სს ბაზის ბანკში აღებულ იქნა 910 ათასი აშშ დოლარის ღირებულების სასესხო ვალდებულება, 10.5 საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთით. სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს საცხოვრებელ კომპლექსში აპარტამენტების შეძენა, შემდგომში უნივერსიტეტის სტუდენტებზე გაქირავების მიზნით. სასესხო ვალდებულება უზრუნველყოფილია აპარტამენტებით და ასევე ჯგუფის თითოეული წევრი წარმოადგენს სესხის თავდებს. საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა დასრულდა 2017 წლის ბოლოს.

სესხის გადასახდელები დაყოფილია 120 თანაბარ ნაწილად. სესხის დასრულების თარიღს წარმოადგენს 2026 წლის 30 სექტემბერი.

სასესხო ვალდებულების რეალური ღირებულება შეესაბამება მის ნარჩენ ღირებულებას.

შენიშვნა 10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	298	303
გადასახდელი ხელფასები	447	443
სხვა კრედიტორული დავალიანება	10	103
სულ სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	755	849

შენიშვნა 11. სარემონტო და კომუნალური დანახარჯები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
რემონტის ხარჯები	(34)	(264)
საიჯარო ქირა	(846)	(438)
საოფისე მასალების ღირებულება	(65)	(56)
კომუნიკაციის ხარჯები	(130)	(115)
კომუნალური ხარჯი	(552)	(485)
დაზღვევის ხარჯი	(126)	(89)
აუდიტორული და სხვა მომსახურების ხარჯები	(180)	(107)
სხვადასხვა ხარჯი	(970)	(543)
სულ სარემონტო და კომუნალური დანახარჯები	(2,903)	(2,097)

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 12. სხვა საოპერაციო დანახარჯები

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
მიღებული გრანტი	144	124
სხვა საოპერაციო შემოსავალი	489	299
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(386)	(280)
შემოწირულობები და სუბსიდიები	(637)	(661)
საგადასახადო ხარჯი	(293)	(202)
ლაბორატორიული ტესტირების ხარჯი	(309)	(132)
სხვადასხვა ხარჯი	(67)	(481)
სულ საოპერაციო მოგება (დანახარჯები)	(1,059)	(1,333)

შენიშვნა 13. წმინდა ფინანსური ხარჯი

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
საპროცენტო შემოსავლები	306	369
საპროცენტო ხარჯები საკურსო ზარალის ჩათვლით	(1,287)	(2,284)
სულ წმინდა ფინანსური ხარჯი	(981)	(1,915)

შენიშვნა 14. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა ჯგუფს სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. ჯგუფის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვეთ გაუქმდეთ შესაბამისი უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შევითხვები, ახლა გაჩნდეს შევითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

შენიშვნა 15. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31 დეკემბერი, 2017 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (მე-5 შენიშვნა)		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	3,549	2,384
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები (მე-7 შენიშვნა)		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	4,113	4,464
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	7,662	6,848

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქცევის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ჯგუფი მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების, ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკისდ მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

საბაზრო რისკი. ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგომბიარობა ეფუძვნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	31 დეკემბერი, 2017 წ.			31 დეკემბერი, 2016 წ.		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	6,537	849	5,688	4,771	733	4,038
აშშ დოლარი	1,907	9,586	(7,679)	2,786	12,433	(9,647)
ევრო	3	-	3	35	10	25
სხვა	1	-	1	-	-	-
სულ	8,448	10,435		7,592	13,176	

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევენ, რომ ინვესტიციები საკუთარ კაპიტალსა და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს რაიმე მატერიალურ სავალუტო რისკს.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31-Dec-17		31-Dec-16	
	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(768)	(653)	268	228
აშშ დოლარის დასუსტება 10%-ით	768	653	(268)	(228)
ევროს გამყარება 10%-ით	0	0	3	2
ევროს დასუსტება 10%-ით	(0)	(0)	(3)	(2)

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც ჯგუფის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფი ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. ჯგუფის პროცენტის აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

ჯგუფს არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა ჯგუფის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი სჯობია ჯგუფისთვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. ჯგუფს ყოველდღე უკავშირდებიან ჯგუფის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. ჯგუფის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. ჯგუფი ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2017 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძვნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

უცხო ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კრუსის მიხედვით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	ნასესხები საშუალებები	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	სულ
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:			
მოთხოვნისთანავე და 3 თვეზე ნაკლები	-	849	849
3-დან 12 თვემდე	2,610	-	2,610
12 თვიდან 2 წლამდე	5,053	-	5,053
2 -დან 5 წლამდე	280	-	280
5 წლის ზემოთ	363	-	363
სულ მომავალში გადასახდელები	8,306	849	9,155

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მოთხოვნისთანავე და 3 თვეზე ნაკლები	-	733	733
3-დან 12 თვემდე	2,569.00	-	2,569
12 თვიდან 2 წლამდე	5,364.00	-	5,364
2 -დან 5 წლამდე	2,677.00	-	2,677
5 წლის ზემოთ	466	-	466
სულ მომავალში გადასახდელები	11,076	733	11,809

კაპიტალის მართვა. ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირება, რათა მფლობელებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლოა მოახდინოს მფლობელებისთვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს მფლობელებს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

ჯგუფის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

ჯგუფი არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

შენიშვნა 16. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებს შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა ჯგუფის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კვოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს, ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძვნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. იხილეთ მე-5 შენიშვნა.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. იხილეთ მე-7 შენიშვნა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. ნასესხები საშუალებების სავარაუდო რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას. იხილეთ მე-9 შენიშვნა.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 17. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნით ბასს 39-ში, *ფინანსური აქტივები*: აღიარება და შეფასება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით "FVTPL"). რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები, მათი საწყისი აღიარებისას, და იი) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯგერება შეფასების ამ კატეგორიებთან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სესხები და დებიტორული დავალიანება	გასაყიდად არსებული აქტივები	ვაჭრობისთვის გამიზნული აქტივები	აქტივები, რომელიც განსაზღვრულია FVTPL -ის მიხედვით
ინვესტიციები:				
- სავაჭრო დებიტორები მეკავშირე საწარმოდან	-	167	-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:				
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	4,113	-	-	-
- ნაღდი ფული სალაროში	63	-	-	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება:				
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	3,549	-	-	-
- მისაღები სესხები	880	-	-	-
სულ ფინანსური ინსტრუმენტები	8,605	167	-	-

ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯგერება შეფასების ამ კატეგორიებთან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სესხები და დებიტორული დავალიანება	გასაყიდად არსებული აქტივები	ვაჭრობისთვის გამიზნული აქტივები	აქტივები, რომელიც განსაზღვრულია FVTPL -ის მიხედვით
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:				
ინვესტიციები:				
- სავაჭრო დებიტორები მეკავშირე საწარმოდან	-	165	-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:				
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	4,464	-	-	-
- ნაღდი ფული სალაროში	21	-	-	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება:				
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2,384	-	-	-
- მისაღები სესხები	723	-	-	-
სულ ფინანსური ინსტრუმენტები	7,592	165	-	-

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 18. ცვლილებები საფინანსო საკმთანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	ვალდებულება 2017 წლის 31 დეკემბერი	ფულადი ნაკადებით გამოწვეული სხვაობა	გადაფასების ცვლილება	ვალდებულება 2016 წლის 31 დეკემბერი
სესხების ძირი თანხა	9,487	(2,905)	296	12,196
სულ	9,487	(2,905)	296	12,196

შენიშვნა 19. დაკავშირებული მხარეები

	დაკავშირებული მხარეები	ძირითადი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარეები
2017 წლის განმავლობაში:			
მისაღები სესხები	880		
საპროცენტო შემოსავალი	77		
მოკლევადიანი სარგებელი-ხელფასი	-	1,392	
სუბსიდიები და შემოწირულობები	-	-	8
მიღებული დივიდენდები	-	-	29

	დაკავშირებული მხარეები	ძირითადი მენეჯმენტი	სხვა დაკავშირებული მხარეები
2016 წლის განმავლობაში:			
მისაღები სესხები	723	-	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი სარგებელი-ხელფასი	-	735	-
სუბსიდიები და შემოწირულობები	-	-	396
მიღებული დივიდენდები	-	-	59

შენიშვნა 20. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2018 წელს შპს საქართველოს უნივერსიტეტი აწარმოებს მოლაპარაკებებს Overseas Private Investment Corporation (OPIC) -თან დარჩენილი სასესხო ვალდებულების სრულად დაფარვასთან დაკავშირებით.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი-ს

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ
თარიღით დასრულებული წლისათვის
კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში	3
1. კომპანია და მისი დამფუძნებლები	3
2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა	4
2.1. შემოსავლების სახეები	4
2.2. კონკურენციის ანალიზი	4
2.3. საქმიანობის განვითარების გეგმები	5
2.4. დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი	5
2.5. არაფინანსური რისკებისა და გაურკვევლობების ანალიზი	6

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიში

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები

შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ ფიზიკური პირების მიერ კერძოდ ფლობილი კომპანიაა, რომელსაც გააჩნია უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტად აკრედიტაცია.

კომპანიის მესაკუთრეები არიან :

მესაკუთრე	ფლობის წილი
გიული ალასანია (01024003240)	37.5%
მანანა სანაძე (01026006411)	50%
ნიკოლოზ ალასანია, აშშ (711734114)	12.5%

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, მერაბ კოსტავას 77ა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს უნივერსიტეტი ფლობდა შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი კომპანია	ფლობის წილი	შენიშვნა
შპს „იუჯი სკოლა“	100%	
შპს „იუჯი წიგნები“	100%	
შპს „საქართველოს უნივერსიტეტის სპორტული სკოლა“	100%	
შპს „საქართველოს უნივერსიტეტის მუსიკის აკადემია“	100%	
შპს „საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო ავეჯი“	100%	აღარ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას
შპს „ხადილი“	100%	აღარ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას

შპს „იუჯი სკოლა“

სკოლა ეწევა დაწყებითი და საშუალო საგანმანათლებლო საქმიანობას როგორც თბილისში ისე ბათუმში. ბოლო 2 წლის განმავლობაში ორგანიზაცია მნიშვნელოვნად განვითარდა. იუჯი სკოლაში სწავლაზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. თბილისში მოსწავლეების რაოდენობამ 450-ს გადააჭარბა, ხოლო ბათუმში 330-ს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „იუჯი სკოლის“ მოგება 39,100 ლარი შეადგინა.

შპს „იუჯი წიგნები“

ორგანიზაციამ საქმიანობა დაიწყო 2015 წლი გაზაფხულიდან როგორც ლიტერატურულმა კაფემ სადაც სარესტორნო მომსახურეობასთან ერთად ხდებოდა წიგნებისა და შემეცნებითი სათამაშოების რეალიზაცია. 2017 წლიდან ორგანიზაციამ შეიცვალა პროფილი და მისი საქმიანობა პრიორიტეტად მოიცავს უძრავი ქონების მართვას თუმცა ის კვლავ აგრძელებს მცირე ზომის სარესტორნო მომსახურეობას. ორგანიზაციამ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წელი დაასრულა 735,000 ლარის ოდენობის ზარალით. ზარალის თანხა მოიცავს 302,000 ლარის ოდენობის საოპერაციო ზარალს. საოპერაციო ხარჯების 37%-ს ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები შეადგენს.

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის მუსიკის აკადემია“

მუსიკის აკადემია 2015 წლიდან ფუნქციონირებს. მუსიკის აკადემიაში 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით 25 მოსწავლე ირიცხება. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მუსიკის აკადემიას ფინანსური შედეგი ქონდა ზარალი 124,600 ლარის ოდენობით.

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის სპორტული სკოლა“

სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტის სახეობები: ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, ფრენბურთი (16 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის) და სატენიანო დარბაზი. სატენიანო დარბაზი ძირითადად ემსახურება საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს ასევე გარე პირებს. 2017 ფისკალური წელი ორგანიზაციამ დაასრულა ზარალით 99,900 ლარის ოდენობით.

2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა

„საქართველოს უნივერსიტეტი“ დღეის მონაცემებით, 5800-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს. უნივერსიტეტში შემოთავაზებულია სამივე საგანმანათლებლო საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) აკრედიტირებული პროგრამები როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

სწავლის საფეხური	სულ სტუდენტების რაოდენობა	მათ შორის უცხოელი სტუდენტები
ბაკალავრიატი	5167	825
დოქტორანტურა	88	0
მაგისტრატურა	550	15

2017 წლის ბოლოს უნივერსიტეტს 1700-ზე მეტი კურსდამთავრებული ყავს. კურსდამთავრებულთა 93% დასაქმებულია.

2.1 შემოსავლების სახეები

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ შემოსავლების 95%-ს მოსწავლეების მიერ გადახდილი სწავლის საფასურებს შეადგენს. დარჩენილი შემოსავლები მოიცავს გრანტებს, გაქირავებული ფართებიდან მიღებულ შემოსავლებს, წიგნების გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებს და სხვა.

2.2 კონკურენციის ანალიზი

უნივერსიტეტი ახორციელებს საბაზრო კონკურენტურის: მოთხოვნისა და კონკურენტების, მათი შეთავაზებების, UG-სთან მიმართებაში კონკურენტული უპირატესობებისა და სუსტი მხარეების შესწავლას, რასაც ეფუძნება ყოველწლიურად უსდ-ის საფასო პოლიტიკა, სასწავლო პროგრამებისა და სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის სტრატეგიები.

უმაღლეს საგანმანათლებლო ბაზარზე კონკურენტთა ანალიზის ფარგლებში ხდება სხვა სასწავლო დაწესებულებების განვითარების შეფასება. მიმდინარე პროცესი ზუსტად აღწერს წარმოქმნილ საბაზრო ცვლილებებს, პირდაპირი და არაპირდაპირი კონკურენტების განვითარების დონეს, მარკეტინგისა და საგანმანათლებლო სერვისების ზრდას, რომელიც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის ტაქტიკური გეგმის შემუშავებაზე.

პირდაპირი კონკურენტები:

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
კავკასიის უნივერსიტეტი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

არაპირდაპირი კონკურენტები:

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)
აგრარული უნივერსიტეტი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი

ცალკეულ მიმართულებებში პირდაპირი კონკურენტები:

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი
ტვილდიანის უნივერსიტეტი
პეტრე შოთაძის უნივერსიტეტი
ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2.3 საქმიანობის განვითარების გეგმები



უნივერსიტეტი გეგმავს გაამყაროს ურთიერთობები უცხოურ უნივერსიტეტებთან და განავითაროს საერთო სასწავლო პროგრამები, დახვეწოს არსებული სასწავლო პროგრამები და შექმანს ახალი, განავითაროს ინფრასტრუქტურა, მარკეტინგული და პიარ აქტივობების მეშვეობით აამაღლოს უნივერსიტეტის ცნობადობა, გაზარდოს როგორც საერთაშორისო ისე ქართველი სტუდენტების რიცხვი.

2.4 დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს უნივერსიტეტში დასაქმებულთა რაოდენობა 740-ს აჭარბებს, მათ შორის 275 მუდმივ შტატზეა დასაქმებული, ხოლო 470 მოწვევული ლექტორია რომელთა ხელფასი საათობრივი დატვირთვით განისაზღვრება.

მუდმივ შტატზე დასაქმებულთა საშუალო დარიცხულმა ხელფასმა 1520 ლარი შეადგინა, ხოლო საათობრივ ანაზრაურებაზე მყოფი თანამშრომლების საშუალო დარიცხული ხელფასი 590 ლარს შეადგენს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში დასაქმებულთა რაოდენობა და მათი საშუალო ხელფასის ცვლილება ქვემოთ მოყვანილ ცხრილებშია ასახული.



2.5 არაფინანსური რისკებისა და გაურკვევლობების ანალიზი

2.5.1 პოლიტიკურ-გეოგრაფიული რისკები და გაურკვევლობები:

სახელმწიფოს მხრიდან უცხოელ სტუდენტებთან მიმართებაში არათანმიმდევრული პოლიტიკა

სახელმწიფომ ვერ მოახერხა შეემუშავებინა ერთიანი მიდგომა უცხოელი სტუდენტების მიმართ. არ არსებობს რეგულაციები, სტუდენტური ვიზის მიღების, სასაზღვრო და იმიგრაციის რეგულაციები, უვიზო

რეჟიმში მყოფი ქვეყნების მოქალაქეებისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის წესები და ა.შ. პერიოდულად სახელმწიფო ხსნის ან ხურავს ამა თუ იმ ქვეყნის სტუდენტებისთვის ქართულ უნივერსიტეტებზე წვდომის ფანჯრებს. პერიოდულად იქმნება მოულოდნელი, სპონტანური რეგულაციები სტუდენტთა ჩარიცხვის, ვიზის მიღების, საზღვრის გადალახვის, ბინადრობის ნებართვის მიღების/გაგრძელების, საიმგრაციო და ა.შ. კუთხით. ხშირად განათლების სამინისტროს მიერ ჩარიცხული საერთაშორისო სტუდენტებზე, გაურკვეველი მიზეზით არ გაიცემა ვიზა ჩვენ საკონსულოებში, ან ვიზიან სტუდენტებს უკან აბრუნებენ მესაზღვრეები, ან საზღვრის გადალახვის შემდეგ მათ უკან აბრუნებს მიგრაციის სამსახური. რამდენიმე კურსის დახურვის შემდეგ სტუდენტს ვიზის გაგრძელებაზე უარს ეუბნება იუსტიციის სამინისტრო და ა.შ. ყოველივე ეს ლახავს საქართველოს, როგორც საგანმანათლებლო დანიშნულების ადგილის საერთაშორისო იმიჯს, ქმნის განათლების ექსპორტისთვის უკიდურესად არასტაბილურ გარემოს და უსდ-ებს აიძულებს დაგეგმვა განახორციელონ უკიდურესი გაურკვეველობის პირობებში.

მოქმედი მთავრობის სოციალისტური პოლიტიკა, მიმართული უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში საჯარო სექტორის მხარდაჭერასა და მის მიერ კერძო სექტორის ჩანაცვლებაზე

ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალა უმაღლესი განათლების სისტემის სოციალისტურ მოდელს ანიჭებს უპირატესობას, სადაც უმაღლესი განათლების ძირითადი მიმწოდებლები არიან სახელმწიფო უნივერსიტეტები. მათი მხრიდან ხშირად გამოითქმის უკმაყოფილება კერძო უნივერსიტეტების „დიდი რაოდენობის“ შესახებ და შიგადაშიგ ადგილი აქვს მინიშვნებს მათი ნაწილის დახურვის მიზანშეწონილობაზე. ყოველივე ეს დარტყმას აყენებს კერძო უმაღლესი უნივერსიტეტების პოზიციას ბაზარზე. რეფორმები დაფინანსების სქემაში, ორიენტირებულია არა სტუდენტის ინტერესებზე, არამედ მორგებულია კონკრეტული საჯარო უნივერსიტეტების ინტერესებს, რითაც სტუდენტებთან ერთად ზარალობენ კერძო უსდ-ებიც. ადგილი აქვს სახელმწიფოს მხრიდან საჯარო უნივერსიტეტებისადმი არაკეთილსინდისიერ მხარდაჭერა/დახმარებას (რაც გამოიხატება ორმაგი სტანდარტის არსებობაში ავტორიზაცია/აკრედიტაციის დროს, სტუდენტის დაფინანსებაში, სამეცნიერო პროექტების დაფინანსებისას და ა.შ.), რაც განაპირობებს არათანაბარი კონკურენციის კიდევ უფრო გაღრმავება

რეგიონალური ეკონომიკურ-პოლიტიკური ფლუქტუაციები

უნივერსიტეტის საერთაშორისო სტუდენტების წარმომავლობის ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესები განაპირობებს რისკ-ფაქტორს ქართული უნივერსიტეტებისთვის. ამ ქვეყნების ეროვნული ვალუტების დევალვაცია და ამ ქვეყნების მთავრობების მიერ შემუშავებული რეგულაციები უცხოური ვალუტის გადარიცხვასთან დაკავშირებით პირდაპირ აისახება ამ ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტების გადახდისუნარიანობაზე. მაგ.: ირანის ისლამური რესპუბლიკის ირგვლივ განვითარებული პროცესები (აშშ-ის სანქციების შედეგად ეროვნული ვალუტის სწრაფი დევალვაცია), ერაყში, სირიაში და ა.შ. მახლობელი აღმოსავლეთის არაბულენოვან ქვეყნებში არსებული არასტაბილური მდგომარეობა, ნიგერიული ნაირას გაუფასურება და ა.შ.

რასობრივი სიძულვილი უცხოელი სტუდენტების მიმართ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში

პოსტსაბჭოთა, ჩაკეტილი ქართული საზოგადოება გამოირჩევა ჰომოფობიური დამოკიდებულებებით და რასობრივი სიძულვილით განსხვავებული ეთნიკურ/რასობრივი ჯგუფების მიმართ გარდა ევრო-ამერიკული ხალხებისა, ვის მიმართაც ქვეყნობიერად გრძნობს ცივილიზაციურ ჩამორჩენას და რუსებისა - როგორც „ყოფილი ბატონების“ მიმართ. ვინაიდან განსახილველ პერიოდში, გასაგები მიზეზების გამო, საერთაშორისო სტუდენტთა უმრავლესობა იქნება არა ევროპის ქვეყნებიდან და აშშ-დან, არამედ მესამე სამყაროს ქვეყნებიდან, ეს უნივერსიტეტისთვის გარკვეული პოტენციური პრობლემების შემცველია.

უნივერსიტეტის ასოცირება კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან

საქართველოს უნივერსიტეტი გასაგები მიზეზების გამო ასოცირდება „ნაციონალურ მოძრაობასთან“, რაც განაპირობებს მისდამი არაკეთილგანწყობას, როგორც „ნაციონალური მოძრაობისადმი“ უარყოფითად განწყობილ საზოგადოების ნაწილში, ისე მის პოლიტიკურ ოპონენტებში - ხელისუფლებაში.

2.5.2 მაკროეკონომიკური რისკები და გაურკვევლობები

დემოგრაფიული პრობლემა

მომდევნო 7 წელი დემოგრაფიული თვალსაზრისით ყველაზე არახელსაყრელია, რადგან 2018-2025 წლებში სტუდენტობას მიაღწევს 2000-2007 წლებში დაბადებულთა თაობები, როცა შობადობა საქართველოში ყველაზე დაბალი იყო უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში. (1990 წლიდან 1999 წლამდე შობადობა თანმიმდევრულად შემცირდა 92815 ახალშობილიდან - 48700-მდე. 2000 – 2007 წლები წარმოადგენს ფსკერს: 2000წ. - 48,800; 2001წ. - 47,589; 2002წ. - 46,605; 2003წ. - 46,192; 2004წ. - 49,572; 2005წ. - 46,512; 2006წ. - 47,795; 2007წ. - 49287; ხოლო 2008 წლიდან შობადობა თანმიმდევრულად კვლავ იზრდება და 2014 წლისთვის 60,000-ს აღწევს.)

2.5.3 დარგის სპეციფიკური რისკები და გაურკვევლობები:


საერთაშორისო ბაზარზე საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის შესახებ არსებული უარყოფითი განწყობის დამკვიდრება ცალკეული ქართული უნივერსიტეტების მიერ დაბალი ხარისხის მომსახურების მიწოდების გამო.

სახელმწიფო არ ახდენს განათლების ხარისხის რეალურ კონტროლს, ხელმძღვანელობს რა ორმაგი სტანდარტით სხვადასხვა უნივერსიტეტთან მიმართებაში. ეს განაპირობებს ცალკეული უნივერსიტეტების მხრიდან უკიდურესად დაბალი ხარისხის განათლების მიწოდებას, ე.წ. „დიპლომების გაყიდვის“ პრაქტიკას, რაც უარყოფითად აისახება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის იმიჯსა და რეპუტაციაზე, ზოგადად, და რისკის ქვეშ აგდებს ბაზრის „კეთილსინდისიერ“ მომწოდებლებს.

უმაღლეს საგანმანათლებლო სექტორის რეგულირების კონსერვატიული მიდგომა

უმაღლეს საგანმანათლებლო სექტორის მარეგულირებელ ორგანოებში არსებობს ხარისხის კონტროლის კონსერვატიული მიდგომა, რაც ზღუდავს დარგის განვითარებას და ინოვაციების დანერგვას. მაგალითად, უკიდურესად შეზღუდულია დისტანციური სწავლების პრაქტიკის დანერგვის, უფრო თანამედროვე, მოქნილი სასწავლო კურიკულუმების შემუშავების, აკადემიური პერსონალის დაკომპლექტების და ა.შ. შესაძლებლობები, რაც უკიდურესად ურთულებს ქართულ უსდ-ებს საერთაშორისო კონკურენციას, სადაც კონკურენტი უსდ-ებს ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვის მეტი შესაძლებლობები აქვთ.

პრეზიდენტი, ქ-ნ გიული ალასანია



პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი,

ბ-ნ კონსტანტინე თოფურია

